

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

ბრონქული ასთმით დაავადებულ პირთა
სპეციფიკური მედიკამანტებით უზრუნველყოფა

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2018წ.
“31 დეკემბერი“ 2018წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 01 11

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

18 553 (თვრამეტიათასხუთასორმოცდაცამმეტი) ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი 18 553 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

ბრონქული ასთმით დაავადებულ ბენეფიციართა ავადობისა და ინვალიდობის შემცირების მიზნით შემუშავებული იქნა მიზნობრივი პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია ბრონქული ასთმით დაავადებული 75 ბენეფიციარისათვის სპეციფიური მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბრონქული ასთმით დაავადებული პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.	მოსარგებლე პირთა რაოდენობა
2	ბრონქული ასთმით დაავადებულთა გართულებების თავიდან აცილება.	ბრონქული ასთმით დაავადებულ პირთა მედიკამენტებით დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი.
3	დროებითი და მყარი შრომის უუნარობის შემცირება.	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2018 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	შემოსული განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	მედიკამენტებით უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბრონქული ასთმით დაავადებული ბენეფიციარები, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიანს სამედიცინო დაწესებულებებში, ან/და მოგვმართავენ 2018 წელს. გარდა იმ ბენეფიციარებისა, რომლებიც არიან „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეები.

11. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამაში ჩართვა და მედიკამენტების რაოდენობების განსაზღვრა მოხდება სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ფორმა №100-ის საფუძველზე.

12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის გასაწევი ხარჯები

№	მედიკამენტების დასახელება	ზ/ ერთეული	ბენეფიციართა რაოდენობა	მედიკამენტების რაოდენობა	სავარაუდო ფასი (ლარი)	წლიური ფასი
1	ფლუტიკაზონპროტიონატი/სალმეტეროლი 50/100 mkg (flutikazone propionate/salmeterol)	ინჰალატორი	4	16	28	448
2	ფლუტიკაზონპროტიონატი/სალმეტეროლი 50/250 mkg (flutikazone propionate/salmeterol)	ინჰალატორი	16	64	38,2	2444,80
3	ბუდესონიდი/ფორმოტეროლი 80/4.5 mkg	ინჰალატორი	10	40	54	2160
4	ბუდესონიდი/ფორმოტეროლი 160/4.5 mkg	ინჰალატორი	45	180	75	13500
	სულ					18552.8

ბ) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი	18 553			18 553
	დამატებითი					

13. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები :

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ბრონქული ასთმის სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვა	2017 წლის დეკემბერი-2017წლის იანვარი	გამარტივებული ელექ. ტენდერი	18 553	

დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

წლის განმავლობაში ბენეფიციართა ჩართვა პროგრამაში განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №IV-100/ა.
4. საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტაცია.

ბენეფიციარის მიერ მედიკამენტების შესყიდვის მოცულობა ყველა შემთხვევაში ხდება ინდივიდუალურად, სამედიცინო დოკუმენტში მითითებული მედიკამენტის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიკამენტების ჩამონათვალის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში განიხილება დანიშნულების შეცვლის შესაძლებლობა.

შესყიდვა განხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დაფინანსება განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და სააფთიაქო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით.

პროგრამის „მიმწოდებლის“ დაფინანსება განხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით, მაგრამ არა უმეტეს ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფინანსების დამტკიცებული მოცულობისა.